ა(ა)იპ - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის წევრობის წესები

ა(ა)იპ - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის (შემდგომში - ,,ასოციაცია“) წევრობის საკითხები რეგულირდება ასოციაციის წესდების, წინამდებარე წესების (შემდგომში - ,,წესი“) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.1. ასოციაციის წევრობა შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით.

1.2. ასოციაციის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელები - ფიზიკური პირები, მათი მემკვიდრეები, იურიდიული პირები, მათი უფლებამონაცვლეები, რომლებიც თავიანთ ქონებრივ უფლებებს გადასცემენ ასოციაციას, კოლექტიური მართვისთვის, სცნობენ ასოციაციის წესდებას, იზიარებენ ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს/ფუნქციებს და გამოთქვამენ მზადყოფნას, ხელი შეუწყონ მათი ქონებრივი უფლებების განხორციელებას.

1.3. ასოციაციას არ აქვს უფლება წერილობითი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს უფლების მფლობელს ასოციაციის წევრად მიღებაზე.

1.4. ასოციაციის საპატიო წევრები შეიძლება იყვნენ:

1.4.1. უფლებამფლობელები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ხელოვნებისა და კულტურის შესაბამისი სფეროების განვითარებაში;

1.4.2. პირ(ებ)ი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასოციაციის წარმატებაში;

1.5. საპატიო წევრობის კანდიდატს წარადგენს ასოციაციის თავმჯდომარე.

1.6. პირის საპატიო წევრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა.

1.7. ასოციაციის საპატიო წევრი უფლებამოსილია კონსულტაციები გაუწიოს ასოციაციას.

1.8. ასოციაციის საპატიო წევრი არ სარგებლობს საერთო კრებაზე ხმის უფლებით.

1.9. ასოციაციის საპატიო წევრობა უვადოა.

1.10. ასოციაციის წევრობა შესაძლებელია სამი საფუძვლით:

- წევრობის მსურველი უფლებამფლობელის წერილობითი განცხადება;
- ასოციაციასა და უფლებამფლობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა.

1.11. უფლებამფლობელი ასოციაციაში წევრობისთვის წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელსაც ერთი თვის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გენერალური დირექტორი.

1.12. ასოციაციის წევრობის აუცილებელი პირობაა უფლებამფლობელის მიერ ასოციაციისთვის თავისი უფლებების სამართავად გადაცემა ხელშეკრულების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

1.13. გაწევრიანების და/ან უფლებების კოლექტიურად სამართავად ასოციაციასთან ხელშეკრულების გაფორმების და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამფლობელმა უნდა უზრუნველყოს ასოციაციისთვის შემდეგი დოკუმენტაციის და ინფორმაციის წარმოდგენა:

1.13.1. ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან პასპორტი, რომელიც შეიცავს ფიზიკური პირის პირად მონაცემებს; (გვარი, სახელი, პირადი ნომერი და ა.შ)

1.13.2. იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრიდან;

1.13.3. ნაწარმოების და/ან ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში - ,,კანონი“) დაცული სხვა ობიექტის შესახებ მონაცემები (ე.წ. კატალოგი) ასოციაციის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლებზეც ასოციაციას კოლექტიური მართვისთვის უნდა გადაეცეს ქონებრივი უფლებები ;

1.13.4. მუსიკალური ნაწარმოე(ებ)ის და/ან ფონოგრამის შემთხვევაში მონაცემები (ე.წ. კატალოგი) ელექტრონული ფაილების (mp3 ვერსიები, არსებული და მომავალში შექმნილი ტექნოლოგიური საშუალებები) სახით, რომლებიც შეესაბამება ასოციაციის მიერ დადგენილ

მაჩვენებლებს და მოთხოვნებს; აღნიშნული მონაცემები გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

1.13.5. საკონტაქტო მონაცემები (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი) და საბანკო ანგარიში (ასოციაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად).

1.14. უფლებამფლობელმა ასოციაციისთვის წარდგენილ საკონტაქტო მონაცემ(ებ)ის და/ან საბანკო ანგარიშის ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ასოციაციას განახლებული მონაცემები.

1.15. ასოციაცია უფლებამოსილია უფლებამფლობელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.16. პირი, რომელიც არ არის ავტორი მაგრამ ფლობს კონკრეტულ ნაწარმოებებზე და/ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა ობიექტზე საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებებს და სურს აღნიშნული გადასცეს ასოციაციას კოლექტიურად სამართავად, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით უზრუნველყოფს იმ დოკუმენტების დედნებისა და/ან სათანადოდ დამოწმებული ასლების წარდგენას ასოციაციაში, რომლითაც დადასტურდება ასოციაციისთვის გადასაცემ შესაბამის ნაწარმოებ(ებ)ზე, შესრულებ(ებ)ზე, ფონოგრამ(ებ)ზე ქონებრივი უფლებების შეძენა, ან ნებართვის არსებობა (ხელშეკრულება, სამკვიდრო მოწმობა და ა.შ.);

1.17. ასოციაციაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია თან დაერთვება უფლებამფლობელს და/ან სხვა უფლებამოსილ პირსა და ასოციაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

1.18. ამ წესით გათვალისწინებული ხელშეკრულების სანიმუშო ფორმა შემუშავებული და დამტკიცებულია ასოციაციის მიერ.

1.19. ასოციაციის წევრობაზე განცხადების/მოთხოვნის და/ან ქონებრივი უფლებების ასოციაციისთვის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების დადების და თანდართული დოკუმენტაციის ასოციაციისთვის წარდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით.

1.20. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ხდება წესდებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1.21. ასოციაციიდან გარიცხვა ხდება ასოციაციის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოს - გამგეობის გადაწყვეტილებით.

1.22. ასოციაციიდან წევრის გარიცხვის საფუძვლები:

1.22.1. ასოციაციის წესდების, ან სხვა წესებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა;

1.22.2. ეთიკური სტანდარტების სისტემატური დარღვევა;

1.22.3. აუცილებელი საწევრო გადასახადის ან სხვა ფინანსური შენატანების გადაუხდელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.22.4. ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და/ან ზიანს აყენებს ასოციაციის რეპუტაციას ან ეწინააღმდეგება ასოციაციის ინტერესებს (ორგანიზაციის საჯაროდ ცილისწამება და/ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება ან სხვა);

1.22.5. შევიწროვება, დისკრიმინაცია ან შეურაცხმყოფელი ქცევები სხვა წევრების ან ასოციაციის პერსონალის/თანამშრომლების მიმართ;

1.23. ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა - გასვლა ან გარიცხვა ასოციაციის შემადგენლობიდან, ავტომატურად არ გამორიცხავს ასოციაციის უფლებამოსილებას, მართოს უფლებამფლობელის ქონებრივი უფლებები, საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებთან მიმართებაში.

1.24. თუ წევრი წერილობით ფორმით აცნობებს ასოციაციას მისი ქონებრივი უფლებების მართვაზე უარის შესახებ, ასოციაციის გამგეობა განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ საკითხზე ასოციაციის მიერ დადგენილი წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.25. უფლებამფლობელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ქონებრივი უფლებების სამართავად გადაცემასთან დაკავშირებით ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულება სრულად ან მისთვის სასურველ ფარგლებში, აგრეთვე უფლებამფლობელი (მათ შორის, ასოციაციის არაწევრი უფლების მფლობელი) უფლებამოსილია ასოციაციისგან გამოითხოვოს ნებისმიერი უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია ან უფლების კატეგორიათა ჯგუფები, დაკავშირებული სასურველი ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახეობასთან (გარდა კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით (ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში), მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 51-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებისა) რის თაობაზეც უფლებამფლობელი წერილობით მიმართავს ასოციაციას.

1.26. უფლებამფლობელის მიერ ამ წესის 1.25 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ძალაში შედის მისი წერილობითი მიმართვიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ.

1.27. ასოციაცია წყვეტს უფლებამფლობელის ჰონორარის აკრეფვას წესის 1.25 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის ძალაში შესვლიდან.

1.28. ასოციაციიდან წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, ასოციაცია გასულ წევრთან საბოლოო ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მისი გასვლიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

1.29. ასოციაციის წევრთა რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს გენერალური დირექტორი.

1.30. ასოციაციის ყოფილ წევრს უფლება აქვს განმეორებით შეიტანოს განაცხადი ასოციაციაში წევრობის მიღებაზე.

1.31. ასოციაციის წევრების რაოდენობა შეზღუდული არ არის.